# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე.“

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 18 ნიუ-იორკი. ივლისი 1957 წ. GEORGIAN OPINION New-York. July 1957

ნიუ-იორკი, ივლისი 1957 წ.

უცნაურია რუსეთის პოლიტიკის მეთაურთა ბუნება და მით უფრო ურცხვი და უცნაური საბჭოთა რუსეთისა! მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში, მოსკოვის პროვოკაციული პოლიტიკის წყალობით, ზღვა სისხლი დაიღვარა და მილიონ ადამიანთა სიცოცხლე განიწირა, მაინც ხრუშჩოვ-ბულგანინი ცდილობენ მთელ მსოფლიოს თვალში ნაცარი შეაყარონ და თავის „ღიმილის“ პოლიტიკა მოსკოვის გულწრფელობის ნიმუშად გაასაღონ.

მსოფლიოს თვალში ნაცარის შეყრის გარდა სხვა რა უნდა ეწოდოს იმ გარემოებას, რომ თითქმის ორი კვირის განმავლობაში (3-16 აპრილი) საბჭოთა რუსეთმა ხუთჯერ მოახდინა ატომიური ყუმბარის საცდელი აფეთქება. ხოლო აპრილის 18-ს საბჭოთა ელჩი ზორინი, გაერთიანებული ერების განიარაღების სხდომაზე (ლონდონში) თავისი მთავრობის სახელით მოითხოვს, „დაუყონებლივ შეწყდეს ატომიური იარაღების წარმოება“, თითქოს მისი მთავრობა შორს იყოს მსგავსი ზრახვებისაგან. ამავე პერიოდში მოსკოვი აფრთხილებს და ემუქრება დას. გერმანიას, სათათრეთს, საბერძნეთს, ისპანიას, ნორვეგიას და დანიას, რომ თუ ისინი „დასავლეთის იმპერიალისტებს“ ნებას დართავენ თავის ტერიტორიაზე ატომიური იარაღის ბაზის მოსაწყობად. ეს საბედისწერო და სავალალო იქნება თქვენთვისო. თუ საკითხს მიუდგომელი თვალსაზრისით შევხედავთ, უნდა ვიფიქროთ, რომ მიზანში ამოღებულია მხოლოდ „დასავლეთის იმპერიალიზმი“ და ყოველგვარი იარაღის ქონვის უფლება მხოლოდ მას უნდა წაერთვას, ხოლო რუსული იმპერიალიზმი კბილებამდე უნდა იყოს შეიარაღებული რათა განიარაღებულ მსოფლიოს უმსხვერპლოდ დაეპატრონოს და დაეუფლოს.

ჯერ მუქარის ნოტების გზავნა დასრულებული არ იყო, რომ „ღიმილის“ პოლიტიკის ბელადი ხრუშჩოვი, ალბანეთის დელეგაციის საპატივცემლო მიღებაზე აცხადებს: „დარწმუნებული ვარ საერთაშორისო მდგომარეობა უმჯობესდება და არ უარესდებაო.“ ხოლო, სწორედ ხუთი დღის შემდეგ, სირანკიევიჩის (პოლონეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე) საპატივცემლოდ გამართულ სადილზე იგივე ხრუშჩოვი აფრთხილებს დასავლეთელებს, „რომ უნგრეთის ავანტიურის ცდა არ გაბედონ აღ. გერმანიაში... თორემ ჩვენ წმინდანები არ გეგონოთ, თუ დაგვჭირდა შეგვწევს უნარი ყელში წაგიჭიროთ და დაგახრჩოთო“. რა გამოიცვალა ამ ხუთ დღეში და რამ გააქრო ხრუშჩოვის ოპტიმიზმი, „რომ მდგომარეობა უმჯობესდება?“ ცხადია არაფერი. ეს ხრუშჩოვების გუნებგანწყობილების საკითხია და არა საერთაშორისო მოვლენებისა. ხრუშჩოვები თითონა ჰქმნიან მოვლენის წარმოშობის სწორედ იმ ვერსიას, რომელიც თითონ მოსწონთ და თავის გემოვნების მიხედვით ან მას ებრძვიან, ან იცავენ. ამ მუქარას თან ერთოდა მოსკოვის ოფიციალური ნოტა წარდგენილი შ. შტატების, ინგლისის და საფრანგეთის მიმართ, სადაც „მშვიდობიანობით“ გატაცებული ხრუშჩოვი წინადადებას აძლევს ზემოხსენებულ ქვეყნების მთავრობებს არ ჩარეულიყვნენ შუა აღმოსავლეთის საქმეებში. ხოლო ამავე პერიოდში დამასკოს ხელისუფლება რუს „სპეციალისტებს“ ღებულობდა და თავის საჰაერო თუ ხმელეთის შეიარაღებული ძალების „კეთილმოწყობას“ მათ ანდობდა. კიდევ მეტი. აპრილის 21-ის „პრავდას“ ნომერში გამოქვეყნებულია საყურადღებო ცნობა: თურმე რუსეთი თანახმაა გაიყვანოს თავისი ჯარი „სატელიტებიდან“ (უნგრეთის ჩათვლით?) თუ შ. შტატები დასავლეთ ევროპიდან წაიყვანს თავისასო. „ღიმილის“ პოლიტიკის ავტორებმა კარგად იციან თუ რა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდება თავისუფალი დემოკრატიული სამყარო თუ შ. შტატებმა თავისი ჯარი ოკეანეს გადმოაცილა, იმ შემთხვევაშიაც კი გინდ რუსეთმა პირობა მართლა შეასრულოს და თავისი ჯარი რამოდენიმე კილომეტრით უკან დასწიოს! და რადგან განიარაღებული და ორჯერ ზედიზედ უმრისხანეს ომ გადახდილი ევროპა ამაზე არ მიდის, რათა თავიდან აიცილოს რუსული ტირანიის „დიქტატი“, ამას მოსკოვი თავისუფალი ქვეყნების „კაპიტალისტურ აგრესიას“ უწოდებს. ევროპიული გულუბრყვილო სოციალისტები, მიამიტი პოლიტიკოსები, „მეხუთე კოლონის“ წევრები, ფილოკომუნისტები, ფილორუსები და სხვა ჯურის მათი აგენტები კრემლის ამ მაკიაველურ ფანდებს, რუსეთის პოლიტიკის გალიბერალებას და გამოცვლას უწოდებენ. ამ კატეგორიის მოღვაწეების ინტერესში არ შედის საკითხის ღრმა ანალიზი და სხვებსაც ომის გამჩაღებლად ნათლავენ, თუ ვინმემ გაბედა ბრჭყალების გახსნა და სინამდვილის თქმა, რომ კრემლის ყოველი სამშვიდობო განცხადება პროპაგანდული ხასიათისაა და ყოველ მათ განცხადებას წინ უსწრებს, ან ზედ ერთვის, ან თან მოსდევს აგრესიულობის აქტი. ვინც კრემლის მოქმედებას თვალყურს ადევნებს და არ კმაყოფილდება მხოლოდ მათი განცხადებებით, მისთვის, ნათელია, რომ ეს საპროპაგანდო განცხადებები „ღიმილის“ პოლიტიკის სამოსელია, ხოლო მათი მოქმედება დარჩა ძველი, ნაცადი, აგრესიული.

როდესაც „ღიმილის“ პოლიტიკამ თავისი პირვანდელი ეფექტი დაკარგა, ხრუშჩოვმა მოინდომა „მოლაპარაკების და შეხვედრების“ პოლიტიკით გაეძლიერებინა. დარწმუნებული იყო, რომ დასავლეთ პარტნიორებს ამით გულისყურს მოუდუნებდა და ამ პერიოდში ის თავის ძირგამომთხრელ მუშაობას ხელშეუშლელად აწარმოებდა. მაგრამ მოლაპარაკების პოლიტიკა განუმჟღავნებლად ჩაკვდა და შეიძლება ითქვას მკვდარი იშვა, რადგან მოსკოვმა „სალაყბოდ“ ვერ გაიყოლია. სუეცის არხის და იორდანის კრიზისის დროს ხრუშჩოვ-ბულგანინი ენერგიულად მოუწოდებდნენ „ოთხ დიდს“, საკითხის მშვიდობიანად გადასაწყვეტად შეკრებილიყვნენ, ხოლო თვით შუა აღმოსავლეთის პროვოკატორულად განწყობილ წრეებს თოფ-ზარბაზანს არ აკლებდნენ იქ ანტიდასავლეთური ცეცხლის გასაღვივებლად და თავისი პოზიციების დასამკვიდრებლად.

კრემლის ამ ვერაგ თამაშს ბოლო მოუღო ე.წ. „აიზენჰაუერის დოქტრინამ“. შუა აღმოსავლეთში ამერიკული ფლოტის გამოჩენა საკმარისი შეიქმნა არა მარტო იორდანის პატარა სამეფოში დამყარებულიყო წესრიგი, არამედ მან გააძლიერა საზოგადოთ არაბულ ნაციონალიზმის ის წრეები, რომლებიც გრძნობდნენ რუსული საფრთხის მოახლოებას, მაგრამ განიარაღებულნი და განმარტოვებულნი ერიდებოდნენ რუსეთის მიერ ყელამდე შეიარაღებულ ფილოკომუნისტურ წრეებთან შებმას.

შეერთებული შტატების ამ გარდაწყვეტილებას ახალი მომენტი შეაქვს თავისუფლების მოყვარულ ერთა მდგომარეობაში, რომლის გამოყენება და მოხმარება კომუნისტური საფრთხის ქვეშ მყოფ ერთა მეთაურობის უნარზეა დამოკიდებული.

## „სასახლის რევოლუცია“ რუსეთში

ჩვენი გაზეთის წინამდებარე ნომერი უკვე აწყობილი იყო, როდესაც მოვიდა ცნობა მოსკოვში მომხდარი „სასახლის რევოლუციისა“.

მოლოტოვმა, მალენკოვმა, კაგანოვიჩმა და შეპილოვმა პარტიის ცეკას პრეზიდიუმის კრებაზე დაჰგმეს რა ხრუშჩოვის პოლიტიკა, მოისურვეს მისი გადაყენება მთავარი მდივნის თანამდებობიდან. თურმე მარშალ ჟუკოვის ხრუშჩოვისადმი მხარის დაჭერამ მდგომარეობა შეატრიალა და შემდეგ მოწვეულ კომიტეტის პლენუმმა ხრუშჩოვის ინიციატივით ბრალმდებელნი დასვა საბრალმდებლო სკამზე. პლენუმმა ისინი გამოაცხადა პარტიის დამშლელებად და გააძევა ცენტრალური კომიტეტიდან, ასევე გადააყენა ყველა მათი თანამდებობებიდან. არის ხმები მათი პარტიიდან გარიცხვის შესახებაც...

გრძელდება ძველი ამბები... როგორც მათ წინამორბედთა გადაყენება, გარიცხვა თუ განადგურებას ვერ შეუცვლია ბოლშევიკური რეჟიმის მსვლელობა, ვერც ეს და მისნი მსგავსნი შესცვლიან მას. — კუზიანს სამარე გაასწორებსო.

## თებერვლის რევოლუცია და ბოლშევიკები

1

ორმოცი წლის წინად, 1917 წ. 12 მარტს (ძვ. სტილით 27 თებერვალს) მოხდა რუსეთის რევოლუცია. დაემხო თვითმპყრობელობა და ახალი წყობილების დასამყარებლად დემოკრატიას გზა გაეხსნა. პოლიტიკურ ჰორიზონტზე ჩაგრულ ერების იმედი გამობრწყინდა. მათ შესაძლებლობა მიეცათ დიდი ხნის სანუკვარი მისწრაფება განეხორციელებინათ და თავისუფალი ეროვნულ სახელმწიფოებრივი ცხოვრება აღედგინათ.

ცნობილია, რომ რევოლუციის შემზადებაში დიდი როლი ითამაშეს თვით რუსეთის მოკავშირეებმა (ინგლის-საფრანგეთმა), რათა ჩაეშალათ ნიკოლოზ მეორის საიდუმლო მოლაპარაკება, რომელსაც ის გერმანიის იმპერატორ ვილჰელმთან აწარმოებდა ომის შეწყვეტისა და ზავის ჩამოსაგდებად. მათი დახმარებით დემოკრატიულმა და სოციალისტურმა პარტიებმა უმტკივნეულოდ შესძლეს მონარქიული რეჟიმის დამხობა და ახალი მთავრობის შედგენა ზომიერი ელემენტებისაგან. მოკავშირეების ჩაგონებით ახალმა მთავრობამ წამოაყენა ლოზუნგი: ომის გაგრძელება საბოლოო გამარჯვებამდე. დროებითმა მთავრობამ ვერ გაითვალისწინა, რომ რუსის ხალხს ომის აღარც სურვილი ჰქონდა და აღარც უნარი და თავისი თავი მოკავშირეთა ინტერესებს ამსხვერპლა.

მეორეს მხრივ მოკავშირეთა ამ მანევრს გერმანიამ რადიკალური ზომით უპასუხა და ლენინი და სხვა ბოლშევიკები „დაპლომბილი ვაგონით“ რუსეთში შეგზავნა. გერმანიის იმედი გამართლდა. ბოლშევიკებმა თავისი გამხრწნელი პროპაგანდით და დემაგოგიით დემორალიზაცია შეიტანეს ჯარში; დაშალეს ის და მთელ რუსეთში ანარქია გაამეფეს. დროებითი მთავრობა უძლური აღმოჩნდა სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია სახელმწიფოს დამარღვეველი ძალებისათვის. თებერვლის რევოლუცია წაბარბაცდა და ის მალე ბოლშევიკური პარტიის ამბოხების მსხვერპლი გახდა.

ბოლშევიკები აღნიშნავენ რა რევოლუციის 40 წლის თავს, განუზიარებლად ითვისებენ თვითმპყრობელობის მოსპობას და ისე როგორც ყველაფერს, მასაც საკუთარ აქციად ასაღებენ. მათ თებერვლის რევოლუციის მსვლელობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ მაინც უტიფრად აცხადებენ: მონარქია დაამხო რუსეთის პროლეტარიატმა, გლეხობამ და ჯარისკაცებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითო. ეს არ შეიძლება მომხდარიყო, რადგან ლენინი უცხოეთში იყო; სტალინი, სვერდლოვი, ორჯონიკიძე და სხვები გადასახლებაში; ერთმაც და დანარჩენებმაც ეს ისტორიული ამბავი გაზეთების საშუალებით გაიგეს. რევოლუცია მოხდა დემოკრატიული პარტიების მეთაურობით და ხელისუფლების სათავეშიც მათი ბელადები მოექცნენ.

არც მუშებში და მით უფრო გლეხობაში და არც ფართო საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბოლშევიკები არავითარი გავლენით არ სარგებლობდნენ, არც რუსეთში და არც საქართველოში, და ისინი ამიტომ ვერ იქნებოდნენ რევოლუციონური მოძრაობის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ხოლო დროებითმა მთავრობამ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, რაც გამოიხატა ომის გაგრძელებაში, ბოლშევიკების ბელადებს შესაძლებლობა მისცა იმავე წლის ოქტომბერში კონსპირაციით, აღვირახსნილი დემაგოგიით და გაბოროტებული ბრბოების დახმარებით ხელისუფლება ხელში ჩაეგდოთ და ისედაც რუსეთის უძლური, უხერხემლო დემოკრატიული რეჟიმი დაემხოთ.

დროებითი მთავრობის შეცდომებს ახლა ჩვენ აღარ გამოვუდგებით, ის მრავალჯერ აღინიშნა. ქართველი ერი რუსეთის რევოლუციიდან მოელოდა ეროვნულ თავისუფლების მოპოვებას. თუმცა თვით საქართველოში პოლიტიკურ ძალთა განწყობილება ამისათვის ხელსაყრელი არ იყო. ქართველ სოც.-დემოკრატებს, რომელთა გავლენა დიდი იყო საქართველოში და რომელნიც მაშინ შედიოდნენ რუსეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიაში და ორგანიზაციულად მასზე იყვნენ დამოკიდებულნი, უძნელდებოდათ რუსეთის დემოკრატიულ ძალებს დაშორებოდნენ და საკუთარი გზა აერჩიათ. მათი ბელადები: ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი, აკ. ჩხენკელი და ევ. გეგეჭკორი რუსეთის რევოლუციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, განახლებულ რუსეთზე ამყარებდნენ იმედებს და იქიდან გამოელოდნენ საქართველოს ბედის გადაწყვეტას, ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე. მათი იმედები არ გაამართლა ისტორიულ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ. ბოლშევიკები აჯანყებით დაეუფლნენ ხელისუფლებას, ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრება, რომელსაც უნდა დაეფუძნებია რუსეთის მომავალი წყობილება და მაშასადამე რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების პოლიტიკური სტატუტიც, უხეში ძალით გარეკეს.

პარტიის დიქტატურას მოყვა სხვა პარტიების აკრძალვა, რეპრესიები, ტერორი, სამოქალაქო ომი და ვრცელი რუსეთის ტერიტორია ანარქიამ მოიცვა. კავკასია ფაქტიურად ჩამოშორდა რუსეთის საბჭოთა ცენტრალურ მთავრობას. საქართველომ, სომხეთმა და აზერბეიჯანმა მოიწვიეს სეიმი და შექმნეს ადგილობრივი მთავრობა. (დროებითი მთავრობის დროის სანაპირო კომიტეტის ე.წ. **ოზაკომის** გაუქმების შემდეგ). შექმნილმა დროებითმა მთავრობამ გამართა საზავო მოლაპარაკება თურქეთთან, რომელიც ამ დროს მოიწევდა კავკასიისკენ, ბრესტ-ლიტოვსკის ზავით დათმობილი ადგილების დასაკავებლად. ამიერ კავკასიის ერთა შორის უთანხმოების გამო თურქეთთან საზავო მოლაპარაკება ჩაიშალა და ამინ დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ახლა საინტერესოა თუ როგორ აფასებენ ამ ისტორიულ ამბებს და როგორ ამახინჯებენ და აყალბებენ სინამდვილეს.

რევოლუციის პირველ წლებში, როცა ბოლშევიკებს მხარი არავინ დაუჭირა, ისინი ხალხის ფართო მასებიდან მოწყვეტილი და გარიყულნი აღმოჩნდნენ, ლენინი გულგატეხილი ჩიოდა და ამ გარემოებას ასე ხსნიდა: მენშევიკების და ესერების ბატონობა, ძალაუფლების ნებაყოფლობით გადაცემა ბურჟუაზიისათვის შემთხვევითი არ იყო; რევოლუციის გამარჯვების შედეგათ გამოიღვიძეს და პოლიტიკას დაეწაფნენ პოლიტიკაში გამოუცდელი მილიონობით ადამიანები, ესენი იყვნენ უმთავრესად წვრილი მეპატრონეები, გლეხები, გლეხთა წრიდან ახლად გამოსული მუშები, ბურჟუაზიის და პროლეტარიატის შორის მდგომი ადამიანები. უზარმაზარმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ წალეკა ყველაფერი, ჩაახშო შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო ათვის სიმრავლით, არამედ იდეურადაც, ე. ი. მოიცვა მუშათა ფართო წრეები და გადასდო მათ წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაში.

ახლა ლენინის ეს აზრი დავიწყებულია და რევოლუციის მსვლელობას ისე განმარტავენ თითქოს გამარჯვება მათ მოიპოვეს არა ძალმომრეობით და აჯანყებით, არამედ ფართო მასების დახმარებით. უფრო მეტი სიცრუით აღწერენ საქართველოს მდგომარეობას და ამტკიცებენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა დაამხო და საბჭოთა წყობილება დაამყარეს აჯანყებულმა მუშებმა და გლეხობამ და არა რუსეთის წითელმა არმიამ, ვითომდაც ამ აჯანყებულთა მოწვევით.

ბოლშევიკები ასხვაფერებენ წარსულ ამბებს, ამცირებენ მოწინააღმდეგეებს, აზვიადებენ თავიანთ მავნე, ვითომც რევოლუციონურ საქმიანობას, თავის აქტივში იწერენ სხვის, მართლაც ხალხის საკეთილდღეოდ ნამოქმედარს. ისინი მედიდურად სწერენ: ქართველი კომუნისტები „თავდადებულად იბრძოდნენ რევოლუციის იდეების გასანაღდებლად“, ისინი მშრომელთა მიტინგებზე, კრებებზე ამხელდნენ ფედერალისტებს, ნაციონალ-დემოკრატებს, მენშევიკებს და ყოველგვარ ოპორტუნისტების შემათანხმებელ პოლიტიკას.

სინამდვილეში ქართველი კომუნისტების ეს ბრძოლა ყოველთვის მიმართული იყო ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ. მათ რუსეთის ბოლშევიკური პარტია უწევდა მატერიალურ დახმარებას და ამით ზურგ გამაგრებული იოლად შოულობდნენ საეჭვო და მავნე ელემენტებს საქართველოს წასახდენად. არავითარი გავლენა არ ჰქონდათ ფართო მა-

**ს. ჭირაქაძე.**

(გაგრძელება იხ. მე-3-ე გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პანრუსიზმი და პანარაბიზმი

(დასასრული. იხ. № 17.)

ამის შემდეგ სხვა და სხვა ოფიციალური წყაროებიდან ვგებულობთ, რომ 1955 წლის სექტემბერში ეგვიპტეს ხელი მოუწერია რუსეთთან შეთანხმებაზე, რომლის ძალით, ხელშეკრულების პირველსავე თვეებში რუსეთს მიუწვდია ეგვიპტესათვის 35 მილიარდის (ფრ. ფრანკებში) ღირებულების იარაღი და სამხედრო მასალა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რუსები გაყიდულ იარაღში ეგვიპტეს ართმევენ (მსოფლიო პრესის ცნობით) თვით ღირებულებაზე ბევრათ ნაკლებს, მაშინ ნათელი გახდება რუსეთის განუსაზღვრელი ინტერესი არა მარტო არაბულ ქვეყნებში, არამედ საზოგადოდ შფოთისა და აღრეულობისადმი.

როდესაც პორტ საიდის დამცველ მხედრობამ გადაწყვიტა ანგლო-ფრანგულ ჯარს დამორჩილებოდა და მათ სარდლობასთან მოსალაპარაკებლად მიდიოდა, კაიროს რადიომ მათ მოუწოდა: გამაგრდით, იბრძოლეთ, რუსეთის ფლოტი მოდის თქვენს დასახმარებლად. ეს არ იყო მხოლოდ „რადიო-ჭორი“, რადგან რუსეთის წყალქვეშა ნავებს მართლა შეეძლოთ სასენოს კლდის გამოქვაბულიდან ინგლის-საფრანგეთის ფლოტისათვის უკანიდან დაერტყათ და მათთვის სერიოზული დაბრკოლება შეექმნათ.

იზრაელების ჯარის სინაის ნახევარკუნძულზე შეტევის დროს, ეგვიპტეს იქ მოგროვილი ჰქონია სამასზე მეტი მძიმე და საშუალო „ტ-34“ და სტალინის სისტემის ტანკი. ასზე მეტი რუსული სამხედრო თვითმფრინავი „ილიუშინ 28“, ამას გარდა მრავალი დიდი ყალიბის ზარბაზანი უთვალავი სამხედრო მარაგით. ამ რუსულ დოვლათს თან ახლდა მრავალი რუსის „სპეციალისტ-ტექნიკოსები“. ეს აშკარა მღაღადებელია ეგვიპტე რუსეთის ურთი-ერთობისა.

იზრაელების ელვისებური მოქმედების გამო ეგვიპტემ ვერ გამოიყენა სინაის ნახევარკუნძულზე დაგროვილი რუსული წარმოშობის იარაღი და მისი დიდი ნაწილი მტერს ჩაუვარდა ხელში.

დღეს რუსული იარაღის და სამხედრო მოწყობილობის გადმოტვირთვა ხდება არა მარტო ალექსანდრიაში, არამედ ლატიქიეშიც (სირიის ჩრდილოეთი ნავთსადგური ხმელთა შუა ზღვაში). ეტყობა რუსეთს გული აუცრუვდა ეგვიპტეზე, რადგან მათ ვერ მოახერხეს საუკეთესო იარაღის გამოყენება და რუსეთის ყურადღების ცენტრი სირიისაკენ გადაიხარა. სამიოდე თვის წინად რუსეთმა მოახერხა სირიაში უსისხლო რევოლუციით მთავრობა ხელთ იგდო და „პრორუსული“ ძალაუფლება დაემყარებინა.

სირიის გეოგრაფიულ სტრატეგიული მდებარეობა რუსეთისათვის მეტად საინტერესოა. სირიაზე გადის რამოდენიმე ნავთსადენი და ევროპა, მისთვის საჭირო ნავთის მარაგის დიდ ნაწილს, აქედან ღებულობს. სირიას აქვს კარგად განვითარებული რკინის და საავტომობილო გზები (10.000 კილომეტრი). სირიაზე გადის ბეირუთ- დამასკო- ბაღდად -თეირანის შემაერთებელი გზა, რომელსაც უდიდესი ეკონომიურ - სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამასთან ერთად სირიას ოსმალეთთან აქვს საერთო საზღვარი, ხოლო ოსმალეთი ატლანტიის თავდაცვის და ბაღდადის პაქტის აქტიური წევრია. ამის გამო რუსეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოსმალეთის უკნიდან შემოვლას და ზურგზე დანის მიბჯენას.

ამის შემდეგ ცხადია, თუ რატომ აინტერესებს რუსეთს სირია და რატომ უგზავნიან ასე უხვად სამხედრო მასალას და „მრჩევლებს“. რუსული თვალსაზრისით ეგვიპტემ თავისი ამოცანა ვერ შეასრულა და რამდენათაც მშვიდობიანობის დროს „ბრძოლის უნარმოსილი“ იყო, იმდენად უნარ ნაკლული აღმოჩნდა „დარტყმის“ დროს. ამიტომ რუსეთმა თავის ექსპანსიის ბაზად სირია გაიხადა და იქ თავის მომხრე მთავრობას დიდად სწყალობს. ცხადია, პანარაბიზმის და პანრუსიზმის არშიყობა პლატონიური არ შეიძლება იყოს და გარდა გამჟღავნებული მიზნების, ფარული ზრახვებიც ექნებათ.

ნასერმა უკვე დაიკავა ძლიერი პანარაბული იმპერიის მეთაურის პოზა და ძნელი იქნება მისი ამ როლიდან გაძევება, ამიტომ რუსეთი იძულებულია მას მაინც გაჰყვეს და გამოიყენოს, ეს მის იმპერიალისტურ მიზნებში შედის. ნასერსაც თავის მხრივ სჭირდება ძლიერი მოკავშირე და მფარველი, არა მარტო დასავლეთელებთან ბრძოლისათვის, არამედ თვით არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობისათვის, რომლებსაც მართალია კოლონიალური არტახების აწყვეტა აერთიანებთ, მაგრამ მაინც შინა ინტერესთა სხვაობა აქვთ და ეს ის ხაზია, რომლის გაყოლებაზეც არაბული ბლოკი დაიმსხვრევა. ამიტომ ყოველი მათგანი ცდილობს „დიდ ერთეულთა“ შორის გარკვეულად ჩადგეს და ამით შინ და გარეთ თავისი პოზიციაბი დაიზღვიოს.

თუ ეგვიპტე და სირია ურეზერვოდ ღებულობენ რუსეთის ორიენტაციას, მის მფარველობას და დახმარებას, ერაყსა და ლიბანს დასავლეთელების სიმპატიები ეტყობა.

ერაყი დიდი ეჭვით უყურებს ნასერის მოქმედებას და მის რუსულ ორიენტაციას. ამ ქვეყნის მეთაური ოსმალეთის ჯარის ძველი ოფიცერი საიდ-ნური-ფაშა არ მალავს,რომ მეტად აღელვებს რუსეთის არაბულ ქვეყნებში შემოჭრა და იქ მისი ხელის ფათური. ის ერთი ავტორთაგანი და გულწრფელი მსახურია ბაღდადის პაქტის და ერთგული მეგობარი ოსმალეთის. ამის გამო რუსული ორიენტაციის ეგვიპტე ალმაცერად უყურებს მას.

**იორდანემ**, რომელმაც თავის არაბული მეზობლების გავლენით გაწყვიტა დიდ ბრიტანეთთან მეგობრული კავშირი, კვლავ თვალი გაახილა და დასავლეთის ორიენტაციას დაუბრუნდა. მისი ახალგაზრდა გვირგვინოსანი განსაცვიფრებელი ენერგიით და გაბედულობით განზე გაუდგა პრორუსულ არაბულ ქვეყნებს და თავისი ბედი დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების ძლიერებას დაუკავშირა.

**ლიბანი** — პატარა, მაგრამ მთელ არაბულ ზღვაში ყველაზე კეთილ მოწყობილი ქვეყანაა. ის თავისი კულტურით და ცხოვრების დონის მოთხოვნილებით უფრო ევროპიულია ვიდრე აზიური. ის იმედის თვალით უცქერის დასავლეთს და არაფერი სწამს კრემლიდან მოციმციმე წითელი ვარსკვლავის.

**საუდების არაბეთის** მფლობელი, იბნ-საუდის შ. შტატებში მოგზაურობა და მისი პრეზიდენტ აიზენჰაუერთან მოლაპარაკება მოწმობს, რომ იბნ-საუდსა და ნასერს შორის ფრონტი გაბზარულია. იბნ-საუდმა თავისი ანტი რსული განწყობილება იორდანეს „კრიზისის“ დროსაც განამჟღავნა.

ამ ერთი თვალის გადავლებით წარმოდგენილი სურათიდანაც ნათელი ხდება, რომ რუსეთს სახარბიელო მდგომარეობა არც არაბულ ქვეყნებში აქვს და ის იძულებულია დიქტატორული ამბიციებით დასნეულებულ ნასერს და სირიის დღევანდელ მფლობელებს დაეჭიდოს.

პანარაბიზმის ფანატიკოსებმა უფრო კარგად უნდა შეისწავლონ რუსული იმპერიალიზმის ბუნება და მაგალითად გამოიყენონ საბჭოთა კავშირად წოდებულ რუსულ იმპერიაში ჩაჭედილ არა რუს ერთა გარემოება.

**გ. აბულაძე.**

## მარქსიზმი - ლენინიზმი - სტალინიზმი

### 2. დიალექტიური აზროვნების მეთოდი.

მარქსიზმი-ლენინიზმი-სტალინიზმი, თანახმად დიალექტიური აზროვნების მეთოდისა, ამტკიცებს, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს, რომ ჭეშმარიტება რელატიურია, შედარებითი. ასეთი უცნაური აზროვნების შედეგად, ჭეშმარიტება უნდა წარმოიდგინოს კაცმა, როგორც ისეთი მოვლენა, რომელიც შეიძლება მუდმივ იცვლიდეს სახეს, მიხედვით დროისა და გარემოებისა.

რუსეთში ამ მეთოდის დასაბუთება პირველად სცადა პლეხანოვმა (იგივე ბელტოვმა), თავის მოზრდილ შრომაში: „მონისტური შეხედულება ისტორიაზე, ანუ ისტორიული მატერიალიზმი“.

დასახელებულ შრომაში ავტორს საილუსტრაციოდ მოჰყავს, სხვათა შორის, ორი მაგალითი:

1. წვიმა მოდის. ის შეიძლება კარგიც იყო და ცუდიც. გვალვის დროს ის სასარგებლოა, ხოლო მოსავლის მიღების დრო ის შეილება გახდეს მავნებელი.
2. წარმოდგენა მორალზე, ზნეობაზე, ყოველთვის ერთი არ არის. მაგ. ჰოტენტოტისათვის კარგი და მორალურად დასაშვები, როცა ის სხვას ცოლს წაართმევს. ცუდია და უზნეო, როცა მას წაართმევენ.

ასეთი უბრალო და გულუბრყვილო სენტენციები, მეცხრამეტე საუკ. დასასრულისა და მეოცის დასაწყისის რუსულ ინტელიგენტურ წრეებსა და სტუდენტობაში, ჭეშმარიტების უკანასკნელ სიტყვად ითვლებოდა და ვინც მას არ გაიზიარებდა, რეაქციონერადა და ჩამორჩენილ ადამიანად ითვლებოდა. საკვირველია, თუ აბსოლუტური ჭეშმარიტება წარმოუდგენელია, მაშ დიალექტურ მეთოდს რატომღა უნდა ჰქონოდა აბსოლუტური, შეუმცდარი და მუდმივი ჭეშმარიტების **პრეტენზია?**

მართლაც, ხომ შეიძლება წვიმის მაგალითს დაუპირისპიროთ ასეთი უბრალო მაგალითი: მათემატიკაში ორჯერ ორი ოთხია, ეს ბავშმაც იცის და ის უცვლელია, ე. ი. წარმოადგენს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ხოლო მეტი ითქმის მორალზე: ცნობილია, რომ ჰოტენტოტს მორალზე, ზნეობაზე, კეთილზე და ავზე იმიტომ აქვს ასეთი უკუღმართი წარმოდგენა, რომ ის ჯერ კიდევ, ადამიანის მოდგმის პირველყოფილ ასაკს არ გასცილებია. მას მეტიც არ მოეთხოვება. მაგრამ კაცი — ადამიანი? ეს ხომ დაგვირგვინებაა ბუნებისა და მაქსიმ გორკის არ იყოს — კაცი-ადამიანი! რა ამაყად მოისმის! — და წარმოიდგინეთ, ერთხელ სტალინსაც კი წამოცდა — ადამიანი, ეს ყველაფერიაო. ჭეშმარიტად, რომ ადამიანი ყველაფერია, აქაური ცხოვრების დასაბამი და დასასრულია. ამიტომ არის, რომ მას შემდეგ რაც ადამიანმა თავი დააღწია ველურ მდგომარეობას, მორალზედ გარკვეული შეხედულება შეიმუშავა, ურომლისოდაც ვერ იარსებებდა თვით საზოგადოება. ამიტომაა რომ ადამიანისთვის მუდმივი ღირებულებისა არიან: „არა კაცი კლა, არა იპარო, არა იმრუშო“ და სხვა. და შერყევა მორალის ასეთი გაგებისა

## ბ-ნ გრ. ურატაძის წიგნის გამო

(დასასრული. იხ. № 16 და 17.)

ყველასათვის ცხადია, რომ არც ერთ სუვერენულ ერს არ შეუძლია თავისი სუვერენიტეტის შენახვა და საკუთარ ეროვნულ პრობლემების გადაჭრა რომელიმე უცხო ერის იმპერიის ფარგლებში! პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწის ასეთი განცხადება — არა მარტო პირად, არამედ მისი ერის პოლიტიკურ სიმწიფეშიაცა ბადებს ეჭვს!

უფრო საკვირველია იმავე წინადადებაში მისი მეორე განცხადების აზრი. სახელდობრ: „სოციალ-დემოკარტიული პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის დანარჩენ ხალხებთან — **(ნაროდამი)** — ერთად,....“ გამოდის, რომ ქართველებიც რუსეთის ხალხების რიცხვში შევდივართ? სხვათა შორის, 1801. წ., ე.ი. საქართველოს რუსეთთან ძალით შეერთების შემდეგ, იმის მიუხედავათ, რომ რუსეთის იმპერატორები თავიანთ თავს საქართველოს მეფეებს ეძახდნენ, მათ არც ქართველები და არც საქართველო (როგორც სახელმწიფო) რუსეთის ხალხთა რიცხვში არ შეუყვანიათ, თუმც მის გარუსებას ცდილობდენ.

გაუგებარია მისი აზრი იმ მხრივაც, რომ რუსეთის რომელ დანარჩენ ხალხებსა ჰგულისხმობდა მისი პარტია „რუსეთის სხვა ხალხებთან ერთად“, რომლებთანაც იგი თანამშრომლობას აპირებდა „საერთო რევოლუციურ ფრონტში“? ბ-ნ ურატაძემ უნდა იცოდეს, რომ ასეთი ხალხები, როგორც პოლონელები, ფინები, ლიტოველები, ლატვიელები, ესტონები და ზოგიერთი სხვები, თებერვლის რევოლუციის დაწყებისთანავე გამოეყვნენ „რუსეთის იმპერიის ჩარჩოებს“ და მათთან არავითარ შემთხვევაში „რუსეთის იმპერიის ჩარჩოებში“ ველარ ითანამშრომლებდნენ. ამ ხალხებმა მიუხედავად იმისა, რომ მათ რიცხვში საქართველოზე პატარებიც იყვნენ, შესძლეს მათი დამოუკიდებლობის დაცვა თითქმის მე-2-ე მსოფლიო ომის დაწყებამდე.

ბ-ნი ურატაძე, ქართველისათვის უფრო ღირსეულადა სთვლის თავის შრომის მე-13 გვ-ზე ჩაწერილ შემდეგ განცხადებას: „ამიერკავკასია, რომელშიაც ქართული სოც.-დემოკრატიული პარტია მთავარ როლს თამაშობდა, იყო ერთად ერთი ქვეყანა, სადაც საკითხი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენისა, რეალური გახდა მხოლოდ რუსეთში რევოლუციის და დემოკრატიის დამარცხების შემდეგ. მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც რუსეთის დემოკრატია, როგორც ერთიანი, რეალური ძალა მოისპო და მისი აღდგენის უკანასკნელი იმედიც კი გაჰქრა, ქართველმა ს.-დემოკრატიამ სცადა ამიერ კავკასიის ფარგლებში, იმავე იდეალებისათვის ბრძოლა, რომლებისათვისაც იგი იბრძოდა მთლიან რუსეთის დემოკრატიის ფრონტზე“. ე. ი. მათ ყველაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ არამც თუ საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაშიც კი არავის გაებედნა დამოუკიდებლობის გამოცხადების მოთხოვნა! ამას სწერს და ამით ამაყობს რუსულ ენაზე იმ ერის წარმომადგენელი, რომლის შვილები იყვნენ, დიმიტრი თავდადებული, დედოფალი მარიამი, დავითი და კოსტანტინე, დიმიტრი ყიფიანი და მრავალი სხვანი. შემთხვევითი არ არის ბ-ნ ურატაძის მიერ თავისი შრომის 32-გვ-ზე მოყვანილი ფაქტი, თურქეთის ჯარის სარდლის, ვეხიბ-ფაშის, გენ. ოდიშელიძისადმი შეკითხვისა, იმის შესახებ თუ როგორ შეუძლიან თურქეთის მთავრობას დამოუკიდებელ კავკასიის მთავრობასთან ურთიერთობის გაბმა და ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის ბ-ნ გეგეჭკორის ხელმოწერილი წერილისა, რომელშიაც სწერია: „გვინდა რა რუსეთის დემოკრატიისათვის მისაღებ საფუძველზე ზავის დადება, **ვთვლით თავს მოვალედ გაცნობოთ**, რომ ჩვენ წარმოვადგენთ რუსეთის რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილს, შეგვიძლიან მოლაპარაკების დაწყება, მხოლოდ რუსეთის დამფუძნებელი კრებისაგან სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ.“ 33-ზე ბ-ნი ურატაძე ამ დებულების გასამაგრებლად უმატებს,: „ამგვარად, მიუხედავად ამიერკავკასიის კომისარიატის დაარსებისა, ამიერკავკასიის „დემოკრატიას“ არ უნდოდა დიდ საკითხებში, სეპარატიული მოქმედება, არამედ ელოდა ლეგალურ ცენტრალურ მთავრობის დირექტივებს.“

ყველა ზემოდ მოყვანილი საუბედუროდ, იმით უფრო რთულდება, რომ: 1). რუსეთში ე. წ. „ლეგალური მთავრობა“, რომელსაც ქართველი სოც.-დემოკრატები სცნობდნენ, უკვე 1917 წ. 25 ოქტომბერს, ბოლშევიკების მიერ გადაყენებული ან და გაძევებული იყო, რაც, როგორც ვეხიბ ფაშამ აგრეთვე ამიერკავკასიის კომისარიატმაც იცოდა.

2). ე.წ. მთლიან რუსეთის დამფუძნებელი კრების, ბოლშევიკების მიერ დაშლის ცნობა, ამიერკავკასიის „დემოკრატიას“, როგორც ამას თავისი შრომის 33-გვ-ზე თვით ბ-ნი ურატაძე სწერს, მოსვლია უკვე 1918 წლის 6 იანვარს და: 3), ვეხიბ ფაშას თავისი შეკითხვა კი 1918 წლის 14 იანვარს გამოუგზავნია ღენ. ოდიშელიძისათვის, ე.ი. როდესაც მთლიან რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვის ამბავი საყოველთაოდ ცნობილი იყო, (გვ. 32). საინტერესოა რომელ ცენტრალურ მთავრობის დირექტივებს ელოდენ ქართველი სოც.-დემოკრატები, როდესაც ცენტრში ბოლშევიკებს ჰქონდათ ძალაუფლება ხელში? ან და რა უნდა იფიქროს ობიექტურმა უცხოელმა მკვლევარმა, რომელიც ამ ამბებს ბ. გრ. ურატაძის მონოგრაფიით გაეცნობა?

ჩვენ არ გვესმის, რისთვის დასჭირდა ბ-ნ ურატაძეს იმის დამტკიცება, რომ ქართველებმა ეროვნული დამოუკიდებლობა როგორც გამოუვალი და ძალით მინიჭებული ფაქტი მიიღეს, რუსეთის იმპერიის მთლიანობის აღდგენაზე, უკანასკნელი იმედების მოსპობის შემდეგ. ჩვენის აზრით ყოველივე ზემოდ მოყვანილი, ქართული საქმის მიმართ უდიდესი პოლიტიკური უტაქტობა და ძნელად გამოსასწორებელი შეცდომა არის! მით უფრო, რომ უცხოელ მკვლევარისათვის, ამის შემდეგ ქართველების მიერ, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების უარყოფა, სრულებით გაუგებარი ხდება. (ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობით, რომელიც ბოლშევიკებმა ტროცკის თაოსნობით გერმანელებთან და თურქებთან შეჰკრეს, საქართველომ დაჰკარგა ართვინი, არტაანი და ბათუმის ოლქი.)

საინტერესოა ბ-ნ ურატაძის მიერ რუსეთის იმპერიის შეფასება, რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი ერების მიმართ. ასე მაგ., როდესაც იგი მეფის ან და დროებითი მთავრობის შესახებ სწერს (გვ. 12-13), იგი ხმარობს სიტყვებს „რუსეთი“ ან „რუსეთის იმპერია“ ან და „მთლიან რუსეთის დემოკრატია“, ამ შემთხვევაში მის შრომაში საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრიც კი არ არის. მისი აზრით რუსეთი თავისი კოლონიების მიმართ იმპერიალისტური არ არის, და საქართველო ამ შემთხვევაში „რუსეთის იმპერიის“ ან „რუსეთის დემოკრატიის“ შემადგენელი ნაწილია, ოღონდ ბოლშევიკური რუსეთი (იხ. გვ. 13-14) მისი აზრით უკვე რუსეთი აღარ არის, არამედ „საბჭოთა“ ან და „წითელი მოსკოვია“ და მხოლოდ ამ შემთხვევაში, მისი პარტია იწყებს დამოუკიდებლობაზე ზრუნვას. უაღრესად საინტერესო, მაგრამ „იმპერიალიზმის“ არსის, დღემდე არსებულ ახსნა-განმარტების პრინციპულად შემცველი შეხედულობა, რომლის მიხედვით, ბელგია, ჰენრი სპააკის სოც.-დემოკრატიული მთავრობის დროს თავისი აფრიკის ან სხვა კოლონიებისათვის, იმპერიალისტური აღარ იქნება, ან და თავის დროზე ინგლისი, იმის და მიხედვით თუ რომელი მთავრობა იყო მის სათავეში, ატლესი თუ ჩერჩილის, თავის კოლონიების მიმართ ხან იმპერიალისტური და ხან არა იმპერიალისტური იყო. ლ. ბლუმის საფრანგეთი: მაროკკო, ინდოჩინეთისათვის არა ყოფილა იმპერიალისტური, ოღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეარყევდა თვით საზოგადოებრივ ცხოვრებას და ადამიანს თავის პირველყოფილ ცხოველურ მდგომარეობამდე დაიყვანდა..

დიალექტიური აზროვნების მეთოდის გაბატონების შედეგები თვით მარქსს ისეთ საშინელებად მოეჩვენა, რომ იძულებულ გახდა განეცხადებინა: „ერთა და ხალხთა ურთიერთშორის დამოკიდებულება უნდა ემყარებოდეს მორალის ურყევ საფუძველს, რომელიც აწესრიგებს ადამიანთა ჩვეულებრივ ურთიერთობას". მარქსმა ასეთი დებულება წამოაყენა პეტერბურგის მთავრობის წინააღმდეგ იმ დროს, როდესაც რუსეთი ებრძოდა კავკასიის ხალხებს თავისი იმპერიალისტური ზრახვების განსახორციელებლად და არავითარ ზომებს, თვით ამორალობასაც, არ ერიდებოდა.

ფრიად საგულისხმოა, მარქსი ამ შემთხვევისათვის ხმარობს და ხაზს უსვამს „მორალის ურყევობას". ზნეობის მარადიულობას რაც, რა საკვირველია, ეწინააღმდეგება დიალექტურ მეთოდს, მაგრამ მარქსს არა ერთი ასეთი წინააღმდეგობა მოეპოვება!.

**დ. სალირაშვილი**

(გაგრძელება იქნება)

## თებერვლის რევოლუცია და ბოლშევიკები

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე)

სებში, მათ მხარს არ უჭერდა არც ქართველი მუშათა კლასი, რომლის დიდი უმრავლესობა სოც.-დემოკრატებს მიყვებოდა. ისინი წარმოადგენდენ ვიწრო ინტელიგენტურ ჯგუფს, ასე ვთქვათ „პროფესიონალურ რევოლუციონერებს", მათ დასაყრდენს შეადგენდა არა ქართული ელემენტები, არამედ კავკასიის ფრონტიდან თავის ნებით მოხსნილი და მათი გამხრწნელი პროპაგანდით გახულიგანებული რუსის ჯარის კაცები.

აგრეთვე მათ მხარს უჭერდა რევოლუციიდან გარიყული და უსაქმოდ დარჩენილი ძველი ადმინისტრაციის მოხელეები, რუსის მონარქისტები, ჭეშმარიტ რუსის შავრაზმელები და ყოველი ჯურის კონტრრევოლუციონერები, რომელნიც ვერ ურიგდებოდენ საქართველოს დამოუკიდებლობას. ბოლშევიკები არ თაკილობდენ რუს რეაქციონერებთან შეთანხმებული მუშაობით ძირი გამოეთხარათ დემოკრატიული წყობილებისათვის და კვლავ აღედგინათ რუსეთის მფლობელობა საქართველოში.

ქართველი კომუნისტების უსაფუძვლო მტკიცება, რომ ოქტომბრის რევოლუციამ ფართო გამოძახილი ჰპოვა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში, თითქოს მუშებმა და გლეხობამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ამიერკავკასიის სოციალისტურ და ნაციონალურ პარტიებს და სხვა არის სრული სიცრუვე და ყოველგვარ ისტორიულ სიმართლეს მოკლებული.

**ს. ჭირაქაძე**

## 26 მაისი

(დასასრული. იხ. № 16 და 17.)

პირველ მსოფლიო ომს რუსეთში მოჰყვა რევოლუცია. 116 წლის ბრძოლების შემდეგ საქართველოს შემთხვევა ეძლევა ამ ბრძოლების მიზანი განახორციელოს და საკუთარი სახელმწიფოებრიობა აღადგინოს. მთელი საუკუნე ნაბრძოლი ერი ამ შემთხვევას ხელიდან ვერ გაუშვებდა. სასულიერო წოდებამ საეროს თითქმის ერთი წლით დაასწრო და 1917 წ. გაზაფხულზე — უკანასკნელი ქართველი კათალიკოსის დაპატიმრებიდან 106 წლის თავზე — ივერიის ძველმა ეკლესიამ აღადგინა საკუთარი ავტოკეფალია. იმავე წლის შემოდგომაზე შესდგა სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელსაც დაესწრენ წარმომადგენლები ყველა არსებული სამოქალაქო, სამხედრო, სასულიერო, პოლიტიკური, კულტურიული და პროფესიონალური ორგანიზაციებისა. აქ გამოირკვა, რომ საქართველოში არც ერთ წოდებაში, არც ერთ წრეში, რუსეთს არც ერთი მომხრე არა ჰყოლია: რუსულ ჯარში დაწინაურებული ქართველი ოფიცრები, მაღალი მოხელეები თუ უბრალო მუშები, ყველანი ერთხმად საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე აღმოჩნდა.

1918 წელს 26 მაისს საქართველო თავის თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აცხადებს. მკვდრეთით აღმდგარ სახელმწიფოს რთულ პირობებში მოუხდა ცხოვრების განახლება: ოთხ წლიანი მსოფლიო ომით განადგურებული სახალხო მეურნეობა, რევოლუციის შედეგად გამეფებული უწესრიგობა და ანარქია, ძველი წყობილების დარღვევის შედეგად სოციალური საკითხების გამწვავება, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობისა და საზღვრების საკითხის წამოჭრა, ევროპასთან სავაჭრო და დიპლომატიური კავშირების მოუწყობლობა და მუდმივი საგარეო საფრთხე ორი მხრით: ოსმალეთის პრეტენზიები კავკასიის დასაკავებლად და რუსეთიდან სამოქალაქო ომში მებრძოლი ორივე ბანაკის მუქარა საქართველოს დაპყრობისა. მაგრამ ძალა ძველი კულტურისა და მრავალი საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოებრივი არსებობის ტრადიცია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ შედარებით მოკლე დროში ყველა ეს დაბრკოლებები დაიძლია და სახელმწიფო სრულ სტაბილიზაციას აღწევს. საქართველო საერთაშორისო პიროვნებად, საერთაშორისო ოჯახის სრულუფლებიან წევრად იცვნეს. ეს იყო საუკუნის ბრძოლებისა და გაღებული მსხვერპლის ღირსეულად დაფასება.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილ იქმნა თვით საბჭოთა რუსეთის მიერაც. 1920 წ. 7 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ იქმნა რუსეთ-საქართველოს შორის დადებული საგანგებო ხელშეკრულება კეთილ-მეზობლური ურთიერთობისა და თავდაუსხმელობის შესახებ. ამ ხელშეკრულებით საბჭოთა მთავრობა სცნობს ყოველგვარი პირობის გარეშე საქართველოს დამოუკიდებლობას, უარს ამბობს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე და ხელს იღებს ყოველგვარ პრეტენზიებზე საქართველოს ტერიტორიის მიმართ.

საინტერესოა და სტალინის პიროვნებისათვის დამახასიათებელი მისი როლი ამ საქმეში. სტალინი ამ დროს პარტიის პოლიტბიუროს და მთავრობის წევრია, როგორც ეროვნულ უმცირესობათა მინისტრი. რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად მოსკოვში ჩასული გ. ურატაძე მოლაპარაკებას აწარმოებს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხში შეთანხმებას ვერ აღწევს. ურატაძე, ძველი პირადი ნაცნობი, დახმარებისათვის მიმართავს სტალინს. სტალინი ყურადღებით მოისმენს, გადაიკითხავს ხელშეკრულების პროექტს, კარგა ხანს დაფიქრდება, მერე სახეზე რაღაც ეშმაკური ღიმილი გადაურბენს, და ურატაძეს აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას. მართლაც, შემდეგ შეხვედრაზე საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებული დათმობაზე მიდის და სადავოდ ქცეული მუხლი — საქართველოს ურეზერვოთ ცნობის შესახებ — უცვლელად შედის ხელშეკრულების პირველ მუხლად. ამ ამბის მიხედვით ცხადია, სტალინს ქართული დელეგაციისათვის გაუადვილებია მიზნის მიღწევა. შემდეგ მომხდარ მოვლენებს სტალინის მამოძრავებელი ფარული ზრახვებიც რომ არ გამოემზეურებინა, ქართველობა, უთუოდ კმაყოფილებით დაიხსომებდა ამ ამბავს.

ამ ხელშეკრულების დადებიდან 8 თვის თავზე საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დასაპყრობად ომი დაიწყო. 1920 წ. ოქტომბრიდან საქართველოს მთავრობას უკვე გარკვეული ცნობები ჰქონდა ჩვენს საზღვრებზე რუსული ნაწილების შესახებ. 11 თებერვალს იერიში დაიწყეს. საქართველოს მთავრობის შეკითხვაზე, საბჭოთა ელჩი ტფილისში, შეიმანი აცხადებს, რომ ამ ბრძოლების შესახებ საბჭოთა მთავრობამ არაფერი იცის — ალბათ სომხური ჯარებიაო.

14 თებერვალს ქართულმა ჯარმა მოწინააღმდეგის რამოდენიმე ტყვე ჩაიგდო ხელთ. ცხადი გახდა რომ საბჭოთა ელჩი უტიფრად სტყუოდა: ეს იყო საბჭოთა ჯარი, ცენტრალური რუსეთის გუბერნიებიდან გაწვეული ჯარისკაცებით.

ასე დაიცვა საბჭოთა რუსეთმა ნებაყოფლობით, ოფიციალურად ნაკისრები ვალდებულება. და აქ გამოირკვა სტალინის მუხანათური როლიც: როცა ის მოსკოვში ურატაძეს დახმარებას ჰპირდებოდა და ჩიჩერინ-კარახანს ურჩევდა ქართველების დაკმაყოფილებას საჭირო ბრძანებები უკვე გაცემული ჰქონია საქართველოს დასაპყრობად რუსული ჯარები კავკასიისკენ დაძრულიყვნენ. ურატაძის ხელცარიელი მოსკოვიდან ტფილისში დაბრუნება ქართველების იჭვებს გააძლიერებდა — იქნებ ახალი ნაწილების მობილიზაცია მოეხდინათ, ან იქნებ რაიმე კონცესიების ფასად რომელიმე „კაპიტალისტური" ქვეყნის დახმარებაც მიეღოთ. ეს მდგომარეობას გაართულებდა და სტალინ-ორჯონიკიძის გეგმის განხორციელებას გააძნელებდა. საჭირო იყო ქართველების დამშვიდება და მათი იჭვიანობის მიძინება. ეს შეიძლებოდა მხოლოდ მათთვის სასურველი ხელშეკრულების დადებით. მარქსისტების გაგებით „მიზანი ამართლებს საშუალებას". მარქსიზმის ყველა სხვა დებულებათა უკეთ სტალინმა ეს დებულება იცის. მიზნის მისაღწევად მისთვის ყველა არსებული და წარმოსადგენი საშუალება მისაღებია. საქართველოს დაპყრობით „რევოლუციისათვის შენაძენი" იმდენად მნიშვნელოვანი იქმნებოდა, რომ კონტრრევოლუციონურ, მენშევიკურ მთავრობასთან ხელშეკრულების დარღვევას მას არავინ უსაყვედურებდა. საქართველოს დაპყრობით სტალინი დიდი ხნიდან შელახული თავმოყვარეობის გრძნობასაც იკმაყოფილებდა — პირადი და პარტიული კონკურენტების, მენშევიკების ბატონობას ბოლოს უღებდა და 15 წლით უფრო ადრე ხალხის მიერ უარყოფილი და დამარცხებული, რუსეთიდან გამარჯვებული ბრუნდებოდა. იმ დროიდან დღემდე თვით საბჭოთა კავშირში და საზღვარ გარედ გამოქვეყნებული ყველა მასალების მიხედვით მტკიცდება, რომ რუსეთის მმართველ სათავეში საქართველოს დაპყრობის ინიციატივა სტალინს გამოუჩენია.

11 თებერვალს დაწყებული ბრძოლები 5 კვირა გაგრძელდა. იყო მომენტები როცა ქართველობას გამარჯვების იმედები მიეცა. ტფილისის დასაცავად იუნკერთა სკოლის გმირული ბრძოლა სამუდამოდ აღიბეჭდა ხალხის მეხსიერებაში. მაგრამ ომისთვის ქართველების მოუმზადებლობამ, მტრის რიცხვით უპირატესობამ და შეიარაღების ხარისხმა ომის ბედი რუსეთის სასარგებლოდ გადასწყვიტა.

დაიწყო მეორე ოკუპაცია რომელიც დღემდე გრძელდება.

თქვენ იცით რომ ქართველი ხალხი — მუდამ მებრძოლი ეროვნული თავისუფლებისათვის და ერთგული თავისუფლების იდეალისა, არც მე-20 საუკუნეში შერიგებია თავზე მოხვეულ ძალადობას: ჩოლოყაშვილის პარტიზა-

ონდ დე-გოლის მოსვლისთანავე იმავე კოლონიებისათვის იმპერიალისტური ხდება და ასე შემდეგ. ე. ი. იმპერიალიზმი ერების ეროვნულ და სოციალურ დამონებაში კი არ გამოიხატება, არამედ იმაში, თუ რომელი მთავრობა არის მჩაგვრელ ქვეყანაში, და ეს მთავრობა როგორ მოსწონს ვსთქვათ ბ. ურატაძეს. ამ რეცეპტის მიხედვით, რუსეთში რომ სოც.-დემოკრატიული მთავრობა მოვიდეს სათავეში, რუსეთი იმპერიალისტურიდან — სოციალისტურად გადაიქცევა და საქართველოს მაშინ ალბად დამოუკიდებლობა აღარ დასჭირდება? საინტერესოა, რა განსხვავებაა ამ შეხედულების ბოლშევიკურ შეხედულებისაგან, რომელიც დღესაც სუფევს საბჭოთა კავშირში?

ასევე საინტერესოა ბ. ურატაძის შეხედულება, რევოლუციაზე საერთოდ და 1917 წლ. რუსეთის რევოლუციაზე კერძოდ. თავის შრომაში იგი უარჰყოფს დღემდე არსებულ შეხედულებას, რომ რევოლუცია ეროვნული თვალსაზრისით, დაჩაგრული ერების განთავისუფლებას და მათ ეროვნულ დამოუკიდებლობის აღდგენასა ნიშნავს, ე. ი. ამ ერების იმპერიის ჩარჩოებიდან გამოსვლა — გამოყოფას წარმოადგენს. იგი წერს თავისი შრომის მე-12 გვერდზე: „განაპირა ქვეყნებში, სწრაფი და გაძლიერებული მოძრაობა სეპარაციისაკენ (გამოყოფისაკენ) იყო აუცილებელი შედეგი **რევოლუციის დამარცხებისა.**" ე. ი. დიდი რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან დაჩაგრული ერების გამოყოფა და ამ ერების დამოუკიდებლობის აღდგენა, რევოლუციის დამარცხება ყოფილა. უეჭველად საკვირველი ინტერპრეტაციაა რევოლუციის არსის, რომლის მიხედვით ახალი რევოლუციური ფორმულა იქნება: ძირს ნიკიტა, გაუმარჯოს სოც.-დემოკრატიულ მთლიან და განუყოფელ რუსეთს, რა თქმა უნდა უკანასკნელ წლებში დაპყრობილ ქვეყნების: — პოლონეთის, რუმინიის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, აღ. გერმანიის, ბალტიის ქვეყნების და სხვათა გამოუკლებლად — ვინაიდან, მათი „სეპარაცია" — რევოლუციის დამარცხების ნიშანი იქნება.....

ჩვენის აზრით უკეთესი იქნებოდა, რომ ბ. ურატაძეს თავისი მეტად ორიგინალური შეხედულებები შეეცვალა, თავისუფალი კაცობრიობის მიერ მიღებულ შეხედულებით, რომ 1917 წელს რუსეთში მომხდა რრევოლუციის გამარჯვება, სწორედ ამ დიდი იმპერიის ფარგლებიდან, ჩაგრული ერების გამოსვლაში და მათი ეროვნულ დამოუკიდებლობის აღდგენაში მდგომარეობდა, რევოლუციის დამარცხება კი მაშინ დაიწყო, როდესაც ლენინ-სტალინის ხელმძღვანელობის ქვეშ ბოლშევიკურმა პარტიამ, რუსეთის შეიარაღებული ძალები ამ იმპერიის ხელახალ და ნაძალადევ აშენებაზე დააყენა. რაც შეეხება ამ ძალით აშენებულ იმპერიას, იგი იყო: მეფის, დროებითი მთავრობის, ლენინ-სტალინის და ხრუშჩოვის დროსაც იმპერიალისტური, მისგან დაჩაგრულ ერების მიმართ, და დარჩება იმპერიალისტური იქამდე, ვიდრე მისგან ჩაგრული ერები არ მიიღებენ სრულ ეროვ. დამოუკიდებლობას.

უაღრესად საყურადღებოა ბ-ნ ურატაძის მიერ, 1917 წელს საქართველოში რევოლუციის მამოძრავებელი ძალების შეფასება. ჩვენი იმედი, რომ ამ საკითხში მაინც შესძლებდა ბ. ურატაძე გერკვეულ, თუნდაც მარქსისტულ შეხედულების გატარებას — არ გამართლდა, ვინაიდან თითქმის ყოველი ფრაზა, სრულიად ახალ, ერთმანეთის მიმართ პრინციპიულად მოწინააღმდეგე აზრს წარმოადგენს და ამით კი სრულიად უპრინციპო და არეულ შთაბეჭდილებას სტოვებს. ასე მაგ. შრომის მე-7 გვ. იგი სწერს: „თანამედროვე მომენტის საკითხში და იმ ტაქტიკის შესახებ, რომელსაც უნდა მისდევდეს მუშათა კლასი, ნ. ჟორდანია ამბობდა: — სწორი ტაქტიკის შესამუშავებლად, უნდა შევიგნოთ მიმდინარე რევოლუციის არსი, რომლის სათავეში სამი მთავარი ძალა სდგას: 1) პროლეტარიატი, 2) პროგრესიული ბურჟუაზია, 3) ჯარი, რომელიც შესდგება ხალხის შვილებისაგან..." ჩვენის აზრით, როგორც პირველი აგრეთვე მეორე და მესამე „ძალა", მხოლოდ და მხოლოდ ხალხის შვილებს წარმოადგენენ, ე.ი. რევოლუციის მამოძრავებელ ძალას არც პროლეტარიატი არც პროგრესიული ბურჟუაზია არ წარმოადგენენ — არამედ: ამოძრავებული ხალხი, რომელსაც — თუ ისინი საქართველოში საერთოდ არსებობდნენ — „პროლეტარიატიც" და „პროგრესიული ბურჟუაზიაც" მას ეკუთვნოდენ. ამ ხალხს კი ყველაზე მკაფიოდ ჯარში გაერთიანებული, მისივე შვილები წარმოადგენდნენ. ცნობილია, რომ პროლეტარიატი და ბურჟუაზია ხალხის შემადგენელი ნაწილები არიან. ჩვენის აზრით არ არის მართალი, რომ 1917 წლის რევოლუციის სათავეში, პირველ ადგილას პროლეტარიატი, შემდეგ პროგრესიული ბურჟუაზია და ბოლოს კი ჯარი იდგა, იმდენად რამდენადაც ჯარი ხალხის გამომხატველია და ამ ხალხის 80% კი გლეხური იყო, ოღონდ 20%-ს ყველა დანარჩენი ფენები წარმოადგენდნენ.

ბ-ნ ურატაძეს ავიწყდება საქართველოს და ამიერკავკასიის ერთი დამახასიათებელი თავისებურობა და სახელდობრ ის, რომ მისი მოსახლეობის შემადგენლობაში არამც თუ პროლეტარიატი, არამედ მუშათა კლასიც არ ყოფილა, ამ სიტყვების მარქსისტული გაგებით. „მუშათა კლასი", რომელსაც ბ. ურატაძე გულისხმობს, არამც თუ გლეხური წარმოშვებისა, არამედ სუფთა წყლის გლეხები იყვნენ, რომელნიც ქარხანაში მუშაობას თავის ძირითად საქმიანობას — სოფ. მეურნეობას უთავსებდნენ. ეს „მუშათა კლასი" მხოლოდ მაშინ ხდებოდა მუშურად, როდესაც მას საამისო სოფლად მუშაობა აძლევდა დროს. ეს, მთელი თავისი არსებით მიწასთან და მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული „პროლეტარიატი" სწორედ იმ კერძო საკუთრების ყავარჯენს წარმოადგენდა, რომელიც მარქსის თანახმად, როგორც „კერძო საკუთრების ფანატიური ძიმდევარი" განადგურებული უნდა ყოფილიყო. ბ. ურატაძის შრომის მე-19-ე გვერდზე, რევოლუციის მამოძრავებელი ძალების შემადგენლობა უკვე საგრძნობლად შეცვლილი არის, მას მოჰყავს ბ-ნ ნ. ჟორდანიას გამოსვლიდან (1917 წ. 22 აპრილი), ჯარის კაცთა საბჭოების მე-2-ე ყრილობაზე, შემდეგი ამონაწერი: „თქვენ იცით რომ რევოლუცია ჩაატარა ორმა რევოლუციურმა ძალამ — ესენი არიან მუშათა კლასი და ჯარი. მრთალია აქ მონაწილეობა მიიღეს ბურჟუაზიულმა ძალებმაც, მაგრამ რეალური ძალა **რჩება თქვენსა და ჩვენს ხელში...**" როგორც ვხედავთ ერთ ფურცლის ორ გვერდზე, სრულიად სხვა აზრი და შეხედულებაა. მეორე შემთხვევაში რევოლუციას უკვე სამი მთვარი ძალის მაგიერ, მხოლოდ ორი ძალაღა ამოძრავებს, მუშათა კლასი და ჯარი, ბურჟუაზია უკვე რეალური ძალა აღარ არის და მის ადგილს იკავებს ჯარი ე. ი. ხალხი. ჩვენ და საუბედუროდ შეხედულებების ეს პერმანენტული ცვალებადობა ამითაც არ თავდება და თავისი შრომის მე-20-ე გვერდზე ბ. ურატაძეს მოჰყავს ბ. ჟორდანიას მიერ 1917 წ. იმავე 22 აპრილს საღამოთი, მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების ყრილობაზე გამოსვლიდან შემდეგი ამონაწერი: „ჩვენი ჯარი, ეს შეიარაღებული ხალხია, იგი დაკავშირებულია თავის ოჯახთან, თავის დაზგებთან და გუთნებთან... ამის გარდა ჯარის ფსიქოლოგიაში და მსოფლმხედველობაში მოხდა დიდი ცვლილება. უწინ **გლეხობას** (როგორც ვხედავთ ჯარი უმთავრესად მაინც გლეხობა ყოფილა —გ.ვ.) პოლიტიკა არ აინტერესებდა, ახლა კი მან გაიგო, რომ მომავალში ასეთი ცხოვრება აღარ შეიძლება, და ამ ნიადაგზე წარმოიშვა მუშათა და გლეხთა კავშირი, რომლის რიგებიდან გამოვიდა ჩვენი ჯარის უმრავლესობა. მხოლოდ ამ კავშირს შეუძლია რევოლუციის გამარჯვებამდე მიყვანა." ე. ი. რევოლუციას ახდენს მთელი ხალხი,

ქართველი აზრი

ნული ბრძოლების გმირული ეპოპეია, სამი დიდი სახალხო აჯანყება, მრავალ ადგილას სხვა და სხვა დროს მომხდარი შეტაკებები და დღემდე დაუძლეველი სულიერი წინააღმდეგობა ამის უტყუარი საბუთია.

გასაბჭოების დღიდან მეორე ომის დაწყებამდე საქართველოდან ციმბირში გადასახლებულთა რიცხვი 100 ათას, ხოლო დახვრეტილთა 60 ათასს უდრიდა.

მიუხედავად ამ უნუგეშო მდგომარეობისა ქართველობას იმედი არასოდეს არ დაუკარგავს რომ 26 მაისი კვლავ გამოანათებს. ამ 30 წლის მანძილზე საერთაშორისო მდგომარეობა არასოდეს ჩვენთვის ისე ხელსაყრელი არ ყოფილა როგორც ამ ჟამად არის. ქვეყნიერება ორ გარკვეულ ბანაკად გაიყო: ერთის მხრივ ადამიანებისა და ერების მჩაგვრელი საბჭოთა ჯოჯოხეთი და მეორეს მხრივ პიროვნებისა და ერების თავისუფლების დამცველნი შეერთებული შტატების მეთაურობით. ეს ბანაკი იცავს იმ იდეებს, რომლებსაც ჩვენ ვიცავდით და დაპირისპირებულია იმ ქვეყანასთან, რომელსაც ჩვენ ვებრძოდით. ობიექტურად, დიდი ამერიკა პატარა საქართველოს მოკავშირედ ევლინება — აი საფუძველი და სათავე ჩვენი ეროვნული იმედებისა! ისტორიას თავისი კანონები და ლოლიკა აქვს, ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული ის ბანაკი გამოვა, რომელსაც წინ მიუძღვის თავისუფლებისა და სამართლიანობის ლამპარი. მაშინ კვლავ აღსდგება თავისუფალი საქართველო და 26 მაისს თავისუფალ ტფილისში გადაიხდის. ჩვენ გვჯერა, რომ ეს დღე შორს არ არის.

† ალ. ცომაია.

## † ექიმი გრ. ალშიბაია

ექ. გრ. ალშიბაია ეკუთვნის იმ მცირე რიცხოვან გუნდს, რომელსაც ღმერთმა მიმადლა თავის განვლილ გზაზე კვალი დაემჩნია.

მისი ხანგრძლივი სიცოცხლე სავსეა ნაირნაირი და ხშირად მშფოთარე ეპიზოდებით. ენერგიული, ნიჭიერი, პრინციპიალური, მტკიცე ბუნების, პირდაპირი და გადაწყვეტილების ურყევად ამსრულებელი. აი თვისებები, რომელიც საკმარისია, რომ ადამიანს მტერი უფრო მეტი ჰყავდეს, ვიდრე მოყვარე.

განსვენებულის მოზრდილი ორგანიზმი ვერ იტევდა მის ჭარბ ენერგიას. ის ყოველთვის მოძრავი, მომქმედი და ახალის, უკეთესის მაძიებელი იყო. ამ მოჭარბებულმა ენერგიამ და კუეთესის ძიების მისწრაფებამ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ყრმა ჩარია კიევის უნივერსიტეტის სტუდენტთა რევოლუციონურ გამოსვლებში, რის გამოც რუსულმა ადმინისტრაციამ სხვებთან ერთად განსვენებულიც დაატუსაღა და სასჯელის მოსახდელად „სმოლენსკის გუბერნიის რაზჟალოვანი სოლდატად“ ჩარიცხა. სასჯელის მოხდის შემდეგ, იმ დროს გამოჩენილი ექიმ სამსონ თოფურიას რჩევით, მშობლებმა გერმანიაში გააგზავნეს, სადაც მან დაასრულა სამკურნალო ფაკულტეტი და ბერლინის უნივერსიტეტის პოლიკლინიკაში „**Volonter Assistent**“-ად მუშაობდა.

1910 წელში ბრუნდება უკან და თანახმად იმდროინდელი კანონისა, პეტერბურგის სამხედრო სამკურნალო აკადემიაში აბარებს სახელმწიფო გამოცდებს. ამის შემდეგ კვლავ ბრუნდება გერმანიაში და ორი წლის განმავლობაში პროფ. ლაზარუსთან მუშაობს. 1912 წელს ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნით უბრუნდება მშობელ ქვეყანას და ქუთაისში იწყებს მუშაობას.

1916 წელს დაინიშნა სამხედრო ექიმად ბაქოში, სადაც მან დიდი ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. შეიძლება ესეც იყო მიზეზი, რომ როდესაც საქართველომ თავისი პიროვნება იპოვა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა, უკვე ბაქოში პოპულარული ექიმი საქართველოს ელჩის ნ. ქარცივაძეს მოადგილედ, ხოლო რამოდენიმე თვის შემდეგ თვით ელჩად დაინიშნა. განსვენებულმა აქ გამოიჩინა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი საქმიანობის დიდი უნარი და ნიჭი. საქართველოს იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვით „ფართო მასისათვის ჯერ კიდევ უცნობია გრ. ალშიბაიას დამსახურება ქართველი ერის წინაშე“. ამ დროს მოხდა ბაქოში ე. წ. „კაპიტალისტური“ ქვეყნების წარმომადგენლობის „ჩეკის“ მიერ დატუსაღება. ინგლისმა, საფრანგეთმა, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, საბერძნეთმა და სხვა ქვეყნებმა საქართველოს მთავრობას სთხოვეს ეკისრა მათი წარმომადგენლობის და ქვეშევრდომების დაცვა. განსვენებულმა ექიმმა, თავისი მთავრობის დავალებით, მაღალი დიპლომატიური ოსტატობით შეასრულა ეს დავალება, რის გამოც ზემოხსენებული ქვეყნების მთავრობებისაგან უმაღლესი ჯილდოთი იქნა დაჯილდოვებული.

საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობის შემდეგ, განსვენებულმა თავისი ოჯახით გერმანიას მიაშურა, სადაც მან დაუყონებლივ მიიღო მკურნალად მუშაობის უფლება. იმ დროს გერმანიაში მრავლად იყო თავმოყრილი ქართველი სტუდენტობა, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამხობის გამო, სრულიად უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. გამსვენებული გრიგოლი გადაიქცა ყოველი გაჭირვებული ქართველის ნამდვილ მამად და ჭირისუფლად. ბევრ მათგანს დღესაც ახსოვს და აფასებს მის ღვთით მიმადლებულ სიკეთეს და სიუხვეს.

დამარცხებულ გერმანიაში მალე იჩინა თავი ეკონომიურმა კრიზისმა და განსვენებულიც იძულებული ხდება თავშესაფარი ეთხოვა პოლონეთისათვის. პოლონეთმა ფართოდ გაუღო კარი და მოქმედების ასპარეზი მისცა მის მიერვე დაჯილდოვებულ საქართველოს ყოფილ ელჩს.

ყველაზე დიდია განსვენებულის დამსახურება ქართულ კავკასიური ემიგრაციის წინაშე მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში. გერმანული ოკუპაციის დროს, მან როგორც სათვისტომოს თავმჯდომარემ, მოახერხა გერმანული ადმინისტრაციისათვის მიეღებინებინა კავკასიელებისათვის განსაკუთრებული სტატუტი, რამაც საოკუპაციო ზონაში მცხოვრები ქართველ-კავკასიელები იხსნა სრულ ფიზიკურ განადგურებისაგან. განსვენებულის კეთილ ბუნებას არ გამორჩა მხედველობიდან დაპყრობილ საფრანგეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მდგომარეობა და ძალიან დიდ ხანს საგრძნობ დახმარებას უგზავნიდა პოლონეთიდან გაჭირვებაში მყოფ ქართველებს.

განსვენებული იყო ღრმად მორწმუნე ადამიანი. 1955 წელში მომიხდა გერმანიაში ყოფნა. ამ დროს ექიმი უკვე ავადმყოფობდა, მაგრამ დიდ ინტერესს იჩენდა ყველასადმი და ყველაფრისადმი, რაც ქართველს, ან საქართველოს შეეხებოდა. ხშირათა მქონია მუსაიფი საეკლესიო საკითხებზე და აღფრთოვანებული იყო, რომ მეც შეძლების და გვარად, ვცდილობდი უბიწოდ შემესრულებინა ღვთის სამსახური. ერთ დღეს განსვენებულმა მთხოვა ვხლებოდი მიუნხენის ეკლესიაში საზიარებლად. დღეს, მისი გარდაცვალების შემდეგ უფრო მეტი სიამოვნებით ვიგონებ, რომ ბედნიერება მქონდა შემესრულებინა მისი თხოვნა.

განსვენებული ამ წუთი-სოფელს გაერიდა გასულ აპრილის 17-ს, თავისი ცოლ-შვილით, სიძეებით და შვილიშვილებით გარშემორტყმული და სამუდამო განსვენების ადგილისაკენ გაემგზავრა ოჯახის და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილის გრძნობით.

მისი უკანასკნელი სურვილი იყო ნეშტი დაეწვათ და მისი ფერფლი მშობლიური მიწისათვის შემოენახათ.

საუკუნო იყოს ხსენება მონისა უფლისა გრიგოლისა.

თ. დადეშქელიანი.

რომლის დიდი უმრავლესობა გლეხები იყვნენ, რომლებსაც კავშირი დაუდვიათ მუშებთან და უკვე ამ კავშირის წყალობით, რევოლუციამ უნდა გაიმარჯვოს. უცხოელი მკვლევარი ამ ამბების გაგონებაზე აუცილებლად წარმოიდგენს, რომ საქართველოში და ამიერკავკასიაში, მუშების რაოდენობა დიდი იქნებოდა, მას ხომ წარმოდგენაც არა აქვს, რომ „პროლეტარების და მუშების კლასი“ საქართველოში ერთეულ ფაბრიკა-ქარხნის და რკინის გზის რამდენიმე ათას მუშისაგან შესდგებოდა, რომლებიც ნაშუადღევს გლეხები იყვნენ, მჭიდროდ დაკავშირებული „მიწის საკუთრებასთან“ და რომლების „მარქსისტულ ცნების“ პროლეტარებათ გადასაქცევად ფანტაზიის ისეთი დაჭიმვა იყო საჭირო, რომელსაც განთქმული ბარონ მიუნხჰაუზენიც კი ვერ მოახერხებდა...

როგორც ზემოთქმულიდან ვნახეთ, საქართველოში 1917 წ. რევოლუციის მამოძრავებელი ძალების ჩვენება და დახასიათება ბ-ნ ურატაძის შრომის მიხედვით, ყოვლად შეუძლებელი ამბავია. შრომაში მოყვანილი დასკვნების გაცნობა, რომ მარქსს შეეძლოს, ჩვენის აზრით ან იგი დაანებებდა მარქსიზმს თავს ან ბ. ურატაძე იძულებული გახდებოდა მიენებებინა თავი მარქსიზმისათვის და მშობლიური ერის რიგებს დაჰბრუნებოდა. ჩვენ არ გვესმის მხოლოდ ერთი რამ: რისთვის სცნო ბ. ურატაძემ საჭიროდ, საქართველოში 1917 წლის რევოლუციის მამოძრავებელი ძალების გასაშუქებლად, ნ. ჟორდანიას სწორედ იმ შეხედულებების მოყვანა, რომელნიც ჩვენდა საბედნიეროდ ნ. ჟორდანიას აცილებენ მარქსიზმს, სახელდობრ, გლეხობის როლის შეფასებაში. საერთოდ კი გაუგებარია იდეოლოგია, რომელიც ჯერ შლის ხალხის მთლიანობას ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ კლასებად და როდესაც ცხოვრების მსვლელობა მას ჩიხში შეიყვანს, ყოველგვარი ხრიკებით ეძებს ამ ხალხის დაშლილ მთლიანობის გამთელებას!

დასასრულ რამდენიმე სიტყვა, ბ. ურატაძის მიერ, თავისი პარტიის ინტერნაციონალურ სოლიდარობის ხასიათის დასასაბუთებლად მოყვანილ, შემდეგი განცხადების შესახებ: (გვ. 10) „ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სცხოვრობდნენ მრავალი ეროვნებები: ქართველები, სომხები, აზერბეიჯანელები, რუსები, ოსები, გერმანელები, აფხაზები, ბერძნები, ებრაელები, სპარსელები, ლეკები და სხ., რომელთა შორის საუკეთესო ურთიერთობის არსებობა იყო ქართულ სოც.-დემოკრატიულ პარტიის უდიდესი დამსახურება, რომელიც საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღიდანვე, მოუწოდებდა ქართველებს, ძმობისა და სოლიდარობის პრინციპებისადმი ერთგულობას, ანვითარებდა მათში პატივისცემას და მეგობრობას მათ მეზობლებისადმი.“ ჩვენ არა გვსურს ამ განცხადების „მარქსისტულ“ თვალსაზრისით აბსურდობის დასაბუთება, ვინაიდან შეუძლებელია, რომ „კლასობრივი“ პარტია თავისი „კლასობრივი“ მტრების მიმართ, „ძმობას და სოლიდარობას“ ჰქადაგობდეს, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ეს „კლასობრივი მტრები“ მეზობლები არიან. მაგრამ მოვალეთ ვთვლით ჩვენ თავს მივუთითოთ ბ. ურატაძეს მისი ამ განცხადების დაუშვებლობაზე, მით უფრო, რომ მან კარგად იცის ის ათეულ საუკუნეოებით მოსაზომი მანძილი, რომლის განმავლობაში **ქართველი ხალხი ყალიბდებოდა ადამიანთა თანასწორობის, პატივისცემის და სტუმართმოყვერეობის მაღალი გრძნობები**. მან უნდა იცოდეს, რომ **ქართველ ხალხს უკვე ბაგრატის, დავითის, გიორგის და თამარის დროს**, იცნობდა და აფასებდა მთელი მაშინდელი კულტურული კაცობრიობა სწორედ ამ შესანიშნავ ღირსებების გამო. მას უნდა მოეყვანა ჩვენის აზრით ის ცნობა, რომ ქართველი ერის ათასწლოვან ისტორიას არ ახსოვს არც ერთი შემთხვევა რასიული ეროვნული ან რელიგიური დევნისა და რაღა თქმა უნდა „კლასობრივი ბრძოლებისა“. პირიქით ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ სწორედ ქართველების დამახასიათებელმა მაღალმა ადამიანურმა გრძნობებმა, მიუხედავად „მარქსისტულ“ პროპაგანდისა, იხსნა ჩვენი ხალხი, „კლასობრივი გახრწნისაგან“. (

გ. ვეფხვაძე.

## † ზურაბ აბდუშელი

„ხელზე კოჟრები გაგვიჩნდა
ამდენი კუბოს აწევით“.

რათ მოგვივლინა ღმერთმა ასეთი რისხვა? როგორ გაუძლოს ქართველების პატარა წრემ ზედი-ზედ დამტყდარ უბედურებას?

ღმერთო! უვიცობით და უბედურად თუ რამ შეგცოდეთ, გვაპატიე, შეგვინდევი...

გასული მაისის 30-ს, სწორედ იმ დღეს, როდესაც შეერთებული შტატების მთელი მოსახლეობა ოთხმოცდა მეათეჯერ ზეიმობდა „**Memorial day**“-ის, ქართულ საზოგადოებაში მეხად და ზარად გავარდა: ზურაბ აბდუშელი მოკლესო. ვინ დაიჯერებდა, რომ ეს წესიერი ზრდილი, ყველას მოყვარული და გულშემატკივარი ადამიანი, სწორედ ამ თვისებების მსხვერპლი გახდებოდა!

მოკლა ერთმა გახელებულმა ქალმა, რომელიც წარსულში მისი ენის მასწავლებელი ყოფილა და რომელიც თურმე უკანასკნელი წლის განმავლობაში აღარსად შეხვედრია. ღვთითგან მადლ მინიჭებული ზურაბი ამ რეგვენ ქალს გულში ჩავარდნია და სიყვარულის ალ მოკიდებულს, უიმედობაში, მისი ავი განუზრახავს. მაისის 30-ს განსვენებულს გაზეთებში ამოუკითხავს, რომ მის ყოფილ მასწავლებელს მამა გარდაცვლია და სამძიმარის და სიმპატიის გამოსაცხადებლად წასულა. მაღალ კეთილშობილური განზრახვით მისულ ადამიანს ეს ექსცენტრიული ქალი ტყვიებით დახვდა!

პირველი ტყვია ქურდულად, ზურგში უსროლია; გაკვირვებით შემოტრიალებული ვაჟკაცისათვის რამოდენიმე მკერდში დაუხლია და როდესაც წაქცეულა, ერთიც საფეთქელში უსროლია „რომ არ დატანჯულიყო“, აცხადებს ეს ბიწიერი გრძნობების მონა.

სამშობლოს იდეით ტყვედ ქმნილ მამულიშვილს, ეჭვი არ არის, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში თვალ წინ გადაეშლებოდა საქართველოს თვალ-წარმტაცი ბუნება მთელი თავისი მომხიბვლელი სინარნარით და მის უკანასკნელი ვაება იქნებოდა, რომ ბრძოლისთვის მოსული ვაჟკაცი, ქალის მიერ ზურგში ტყვია ნაკრავი კვდება.

„შაბაშ კაცსა, შაბაშ სიტყვას, შაბაშ საქმეს მისგან ქმნილსა“!

მტერთან ბრძოლებში შეუპოვარი და უდრეკი, შინაურობაში რბილი, ტკბილი და თბილი ზურაბი დაიბადა იმ ქართულ ოჯახში, სადაც მუდამ ღვიოდა სამშობლოს ერთგულობის და მისთვის თავდადების სიყვარულის ცეცხლი. განსვენებული ამ სანუკვარ მემკვიდრეობას დიდათ აფასებდა და უფრთხილდებოდა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა იმპერიის დასამხობად და იქ ტყვედ ქმნილ საქართველოს გასანთავისუფლებლად ქართველობამ დიდი მსხვერპლი გაიღო. ზურაბი ერთი იმ პირველთაგანია, რომელიც ქართულ მოხალისეთა რიგებში ჩადგა და ომის დასრულებამდე იარაღი ხელიდან არ დაუგდია. ღრმა პატრიოტული რწმენის და მოვალეობის პასუხისმგებლობის მქონე ზურაბმა მალე მიიპყრო მეთაურთა ყურადღება და უბრალო მოხალისეობიდან კვლავ ოფიცრის ხარისხი დაიმსახურა. სამშობლოსათვის ბრძოლა და თავდადება იყო ზურაბის სიცოცხლის აზრი და გამართლება.

ზურაბი ეკუთვნოდა ქართველ ახალგაზრდობის იმ მცირე რიცხოვან გუნდს, რომლისაგანაც მოსკოურმა მრისხანებამ, არამც თუ ვერ მოახერხა შეექმნა საბჭოთა მოქალაქის ტიპი, არამედ ოდნავადაც ვერ დააშორეს იმ ეროვნულ ისტორიულ ტრადიციებს, რომელსაც ცეცხლითა და მახვილით ებრძვის რუსული ბოლშევიზმი თავისი რუს კომისრების საშუალებით.

„ჩვენსა და სხვა ემიგრაციებს შორის ის განსხვავებაა, რომ ჩვენ ბრძოლისათვის მოვედით აქ, სხვები კი ფულის შესაგროვებლათო“, იტყოდა ხოლმე განსვენებული და არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდა, რომ ბრძოლა გაგრძელებულიყო და ანტისაბჭოურ ბლოკში ქართულ საქმეს თავისი საპატიო ადგილი დაეჭირა და ღირსეული პატრონიც გასჩენოდა.

განსვენებულმა შეერთებულ შტატებში თავისი „კარიერა“ ერთ ბანკში იატაკის მრეცხველობით დაიწყო, მაგრამ მას ამით თავი დამცირებულად არასოდეს არ უგრძვნია „ესეც ბრძოლის განსაზღვრული პერიოდის ერთი დარგიაო“, იტყოდა ხოლმე თავისებური ტკბილი და მომხიბლავი ღიმილით. ყოველი მისი მოქმედება დაქვემდებარებული იყო სამშობლოს განმათავისუფლებელ ბრძოლასთან და თავის მამულიშვილურ მოვალეობას ყოველ პირობებში, ყოველ გარემოებაში ასრულებდა.

ზურაბმა თავისი ნიჭი და უნარი აქაც გამოამჟღავნა და შეერთებულ შტატებშიც მალე გადაიქცა საინტერესო და საჭირო პიროვნებად. სახელმწიფო დაწესებულების იმ უწყების თანამშრომელი გახდა, რომელსაც დაკისრებული აქვს ერების და ხალხის თავისუფლების იდეის ქადაგობა და გავრცელება. განსვენებული განსაკუთრებული ენერგიით და მუყაითობით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. ის ქართველ ერს, მშობლიურ ენაზე, ხშირ-ხშირად გადასძახებდა ხოლმე სანუგეშო და გამამხნევებელ სიტყვას და აგონებდა, რომ სისხლით გაუმაძღარ მოსკოველ სვავებთან დაპირდაპირებაში ქართველები განწირულნი არ არიან და მათ ერთგული და საიმედო მეგობარი ჰყავთ.

ამგვარი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი, სამშობლოს მარადიულობის მხნე და ერთგული გუშაგი მოსწყვიტა უგუნურმა ჩვენს რიგებს; შეგვამცირა და დაგვაობლა.

მშვიდობით ჩემო ერთგულო, ჩემო ტკბილო ზურა. შენ მე უნდა დაგემარხე, უბედობამ მე გამხადა შენს გამსვენებლად... მსუბუქი იყოს შენს მკერზე ამერიკის თავისუფლებისათვის დაღვრილი სისხლით გაჟღენთილი მიწა და როცა ქართული მზე ამობრწყინდება და შენი ნანატრი აღსრულდება, მადლიერი მეგობრები შენს ნეშტსაც მიაბარებენ იმ კურთხეულ მხარეს, რომლის სიყვარულით შენა სცოცხლობდი და რომლის ერთგულებაც თან ჩაგყვა.

დ. სინდიკელი.

## † გენ. ზაქარიაძე

გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული ჯარების მთავარი შტაბის ყოფილი უფროსი **გენ. ზაქარიაძე**. „ქართული აზრის“ რედაქცია გულწრფელ სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

**EDITORIAL BOARD Dr. G. Gabliani, S. Kaishauri, G. Lolua.**
**EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.**
**12-29—120 St. College Point. L. I.**
Directeur résponsable
Ch. Kalandadzé

Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris